სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/06

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2021

ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), ბატონი კარლო კოპალიანის 2021 წლის 17 თებერვლის №0000127440 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 თებერვლის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დამტკიცებულ საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: სწავლული მდივნის (უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი) სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 600 ლარით, ნაცვლად 400 ლარისა; გაუქმდეს იურისტის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 300 ლარი; ინოვაციური განვითარების ჯგუფში: გაუქმდეს მთავარი ექსპერტის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 800 ლარი; დაემატოს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 800 ლარი; ბუნებრივი კატასტროფების განყოფილებასა და ზღვებისა და წყალსატევების განყოფილებაში ინჟინრის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 250 ლარით, ნაცვლად 185 ლარისა; მელიორაციის განყოფილებაში: გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 600 ლარი; ინჟინრის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 250 ლარით, ნაცვლად 185 ლარისა; გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილებაში: გაუქმდეს ინჟინრის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 185 ლარი და ლაბორანტის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით –185

ლარი; მელიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილებაში: გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 600 ლარი; დაემატოს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 800 ლარი; დაემატოს მეცნიერ-თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 250 ლარი; გაუქმდეს ინჟინრის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 185 ლარი; ხოლო ინჟინრის (მაგისტრი) სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 250 ლარით, ნაცვლად 185 ლარისა; დამხმარე პერსონალი: გაუქმდეს სანტექნიკოსის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 150 ლარი; არახვეთის საცდელ-ეკოლოგიური პუნქტის გამგის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 120 ლარით, ნაცვლად 100 ლარისა; გორის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტის გამგის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 120 ლარით, ნაცვლად 100 ლარისა და მუშების სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 100 ლარით, ნაცვლად 67,50 ლარისა; კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიურ პუნქტში: დაემატოს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით – 185 ლარი.

აქედან გამომდინარე, ინსტიტუტის საშტატო ერთეულების რაოდენობა განისაზღვროს 61,5 ერთეულით, ნაცვლად 66 ერთეულისა; ხოლო სახელფასო ფონდი რჩება უცვლელი – 30 705 ლარი თვეში;

2. სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2021 წლის 1-ელი მარტიდან;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**